საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტებით გაანგარიშებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები

International Labour Organization

28.12.2020

www.geostat.ge

28.12.2020

მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)

I. მეთოდოლოგიური ცვლილებები სამუშაო ძალის სტატისტიკის გამოკვლევაში

საქართველოში დღემდე მოქმედი დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელო, რომელიც მიღებულია 1982 წელს, შრომის სტატისტიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე. ხოლო ახალი სტანდარტი ILO-ს მიერ შემოთავაზებულ იქნა 2013 წელს, რომელიც ოფიციალურად ძალაში შევიდა 2018 წლის ოქტომბერში, შრომის სტატისტიკოსთა მე-20 საერთაშორისო კონფერენციაზე.

საქართველოში ახალი სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები საქსტატის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა 2019 წლიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

2019-2020 წლებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და დანიის სტატისტიკის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ევროკავშირის და ევროსტატის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, საქსტატის მიერ სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები და შესრულდა მთელი რიგი აქტივობები, კერძოდ:

- შევიდა ცვლილებები სამუშაო ძალის გამოკვლევის კითხვარებში, რაც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების მასშტაბების შეფასების მიზნით, ითვალისწინებდა შესაბამისი კითხვების დამატებას;
- მომზადდა ახალი სტანდარტების შესაბამისი კითხვარები და შემუშავდა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო;
- განხორციელდა ახალი კითხვარების ტესტირება და ჩატარდა საპილოტე გამოკვლევა;.
- 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მონაცემთა შეგროვება როგორც ძველი, ისე ახალი კითხვარების მეშვეობით;
- განხორციელდა შეგროვებული მონაცემების ანალიზი და ახალი სტანდარტების შესაბამისი ინდიკატორების გაანგარიშება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტის დანერგვა ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას და სამუშაო ძალის დამატებითი ინდიკატორების გაანგარიშებას. კერძოდ, ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად (50%-ზე მეტი) საკუთარი მოხმარებისათვის. აღნიშნული სტატუსის მქონე პირები გადაკვალიფიცირდნენ ან უმუშევართა

კატეგორიაში, ან მოსახლეობაში სამუშაო ძალის გარეთ, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა სამუშაოს დასაწყებად.

ახალი სტანდარტის დანერგვამ დღის წესრიგში დააყენა ისტორიული მწკრივების გადაანგარიშების საკითხი, რაც აუცილებელი იყო წინა პერიოდის მონაცემებთან შესადარისობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, დანიის სტატისტიკის სამსახურისა და ევროსტატის ექსპერტების ჩართულობით, განხორციელდა ადრე გამოქვეყნებული მონაცემების გადაანგარიშება და განახლება 2010 წლიდან.

II. ახალი სტანდარტით გამოწვეული ცვლილებები და გადაანგარიშების ძირითადი შედეგები

ახალი სტანდარტის დანერგვით გამოწვეული მონაცემთა გადაანგარიშების შედეგად, ადრე გამოქვეყნებულ მონაცემებთან შედარებით გაიზარდა უმუშევრობის დონე და შემცირდა დასაქმების დონის მაჩვენებელი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ძველი და ახალი სტანდარტებით (გადაანგარიშებამდე და გადაანგარიშების შემდეგ), 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №1

უმუშევრობის დონე საქართველოში

(%)

ახალი სტანდარტით, ძველ სტანდარტთან შედარებით, უშევრობის დონე გაცილებით მაღალია სოფლის ტიპის დასახლებებში (დაახლოებით 3-ჯერ), ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებში განსხვავება შედარებით უმნიშვნელოა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ძველი და ახალი სტანდარტების მიხედვით, ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში, 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №2

უმუშევრობის დონე ქალაქად

(%)

დიაგრამა №3

ახალი სტანდარტის მიხედვით დასაქმების დონე 13-15 პროცენტული პუნქტით დაბალია ძველ სტანდარტთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონის მაჩვენებლები ძველი და ახალი სტანდარტების მიხედვით, 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №4

ახალი სტანდარტის დანერგვით მნიშვნელოვნად შემცირდა თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში (2019 წელს 49.7%-დან შემცირდა 30.7%-მდე).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, ძველი და ახალი სტანდარტების მიხედვით, 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №5

ახალი სტანდარტის დანერგვით შემცირდა ასევე მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე, რაც დაკავშირებულია თვითდასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადაკვალიფიცირებასთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აქტიურობის დონე ძველი და ახალი სტანდარტე-ბის მიხედვით, 2010-2019 წლებში.

დიაგრამა №6

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2018-2020 წლების კვარტალებში, ძველი და ახალი სტანდარტების მიხედვით.

დიაგრამა №7

III. 2020 წლის III კვარტალის გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(ახალი სტანდარტის მიხედვით)

ახალი სტანდარტით, 2020 წლის III კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 17.0 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2018-2020 წლებში კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №8

უმუშევრობის დონე საქართველოში

(%)

2020 წლის III კვარტალში სამუშაო ძალამ (ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 50.3 პროცენტი შეადგინა. აქტიურობის დონე (სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია ქალაქის ტიპის დასახლებებში 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 3.6 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე ქვეყნის მასშტაბით შემცირებულია 1.3 პროცენტული პუნქტით, ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 2.1 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აქტიურობის (სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე) და დასაქმების დონის მაჩვენებლები 2018-2020 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №9

28.12.2020

2020 წლის III კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 66.6 პროცენტს შეადგენდა, რაც 2.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით, 2018-2020 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №10

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

(%)

28.12.2020

2020 წლის III კვარტალში უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 1.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში შემცირებულია 2.1 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით 2018-2020 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №11

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2020 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში გაზრდილია 1.4 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით 2018-2020 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №12

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით

(%)

აქტიურობის დონე (სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე) ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2020 წლის III კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 40.2 პროცენტს, ხოლო კაცებში 61.9 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აქტიურობის დონე (სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე) ქალებში შემცირებულია 2.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში გაზრდილია 0.2 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აქტიურობის დონე (სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე) სქესის მიხედვით 2018-2020 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №13

აქტიურობის დონე სქესის მიხედვით

(%)

2020 წლის III კვარტალში დასაქმების დონე როგორც ქალებში, ასევე კაცებში შემცირებულია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად 1.7 და 0.7პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე სქესის მიხედვით 2018-2020 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №14

დასაქმების დონე სქესის მიხედვით

(%)

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge